სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 დეკემბერი, 2023 წ

ბრძანება N 01-02/234

,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვროცლავის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 დეკემბრის №01-02/231 ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის, ,,ბსუ-ს რექტორის მერაბ ხალვაშის თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 19 დეკემბრის №01-14/696 ბრძანებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (21.12.2023 წლის №1745257) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვროცლავის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 დეკემბრის №01-02/231 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ე) ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისათვის - 2023 წლის 25 დეკემბერი.
2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**